ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №07

ქ. ონი 2 აპრილი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, მისი უფროსის ნინო მეტრეველის სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველძე ერთის მხრივ და ინდ. მეწარმე შემდგომში "მიმწოდებელი" შპ სტმტ მისი დირექტორის ნესტან ნარტყოშვილის სახით მეორის მხრივ დადეს ეს ხელშეკრულება და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ზოგადი პირობები

შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება საწვავი საშუალებების (დიზელი,ბენზინი) შესყიდვაზე . CVP-09130000

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება შემდეგ საქონელზე დიზელის და ბენზინის საწვავის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობა საქართველოში არსებულ სტანდარტულ ნორმებთან;

შესასყიდი ობიექტის ერთეულის ფასები განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილით და ის წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 1000 ლარი;

შესასყიდი ობიექტის მიწოდების განხორციელება შემსყიდველის მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი არაუგვიანეს 10 დღისა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

"მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს "შემსყიდველის" მიერ დაკვეთილი საქონლის მიწოდება დაუყოვნებლივ სათანადო დოკუმენტების გაფორმების საფუძველზე;

"მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;

"შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიმწოდებლს საქონელის საფასური გადაუხადოს მიწოდებელი საქონლის მწოდებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა;

შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადოს საქონელი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4. მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად ინსპექტირების ჩატარების, სათანადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა) გაფორმებისა და შემსყიდველზე საქონლის გადაცემის შემდეგ;

5. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ლარებში უნაღდო ანგარიშსწორება;

6. სხვა პირობა

ხელშეკრულების პირობებს მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა დასაშვებია შემსყიდველისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების მოცულობის ცვლილებებისას და ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის შესაბამისად;

მხარეები ღებულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას შემსყიდველი და არადამაკმაყოფილებლად შესრულებულ თავის ვალდებულებებზე არსებულ კანონმდებლობის შესაბამისად გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებით გათვალისწინებული შემთხვევების;

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს და მეორე შემსყიდველს. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ეთანხმებიან რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას 2012 წლის 2 აპრილიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
სახაზინო კოდი 7547

ანგ.№

საიდ.კოდი 237977409

მიმწოდებელი

შპს "ტმტ"
ს/ს საქართველოს ბანკი

ანგ. №GE37BG0000000318058100

საიდ.კოდი 437976068

ბანკის კოდი BAGAGE22